

## მთავარი მატჩების მოლოდინში

თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 23 თებერვალი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) 1:0 (0:0).

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, პაიკიძე (სვანაძე), არზიანი, მიქაბერიძე, ჭეცია, მახარაძე, ჩქარეული, გოგრიჭიანი (ფრიდონაშვილი), მესხი.

კიევი: მიხაილოვი, იარემჩუკი, კუზნეცოვი, ევსეევი, ოლეფირენკო (მიხაილიჩენკო), რაცი, იაკოვენკო (ბარანოვი), ბალი, ხლუსი (ზავაროვი), ევტუშენკო (ბლოხინი), ბელანოვი.

მსაჯი: ანატოლი მილჩენკო (სოხუმი).

გოლი გაიტანა მიხეილ მესხმა (77–ე წთ.).

როგორც იქნა, თბილისშიც მოვიდა ფეხბურთი და მართალია, ბევრი ვერაფერი ამინდი დახვდა, გულშემატკივარი მაინც საკმაოდ მოგროვდა “ლოკომოტივის” სტადიონზე – სწორედ აქ იყო დანიშნული 1985 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის რეპეტიცია.

ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოახერხა მინდორზე ძირითადი შემადგენლობის გამოყვანა, ეს უწინარეს ყოვლისა მასპინძლებზე ითქმის, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ბოლო საწვრთნელ მატჩში მაინც მთელი ძალით იყო საჭირო თამაში.

პირველი ტაიმი სანახაობრივად მაინცდამაინც კარგი არ გამოდგა – თამაში ტიპიურ საკონტროლო შეხვედრას მოგაგონებდათ – მაგრამ მერე და მერე ყველაფერი გამოსწორდა. თუ პირველ ორმოცდახუთ წუთში მეტოქეებმა მხოლოდ თითო საგოლე სიტუაცია შექმნეს და საკმაოდ ხშირადაც სცოდავდნენ პასში, მატჩის მეორე ნახევარში იმატა კომბინაციებმაც და, ბუნებრივია, სახიფათო მომენტებმაც.

59–ე წუთზე კარგად ითამაშა თბილისელთა კაპიტანმა ჩივაძემ – საჯარიმოს გათამაშების შემდეგ მოატყუა მცველი და დაარტყა კიდეც კარისკენ. 74–ე წუთზე კიეველებმა მხოლოდ აკრძალული ილეთით შეძლეს თბილისელთა სწრაფი ფორვარდების მესხისა და ჩქარეულის შეტევის შეჩერება. 77–ე წუთზე სტუმრები მაინც ვერ გადაურჩნენ გოლს – ჩივაძის დაწყებული კომბინაცია შესანიშნავად დაასრულეს ჩქარეულმა და მესხმა. 84–ე წუთზე მასპინძლებს კიდეც ერთო გოლი შეეძლოთ გაეტანათ – თბილისელთა ერთ–ერთი იერიშის შემდეგ ალაღბედზე მოგერიებული ბურთი მახარაძემ მიიღო. შორიახლო კიეველთა არც ერთი მცველი არ იდგა, წაქცეული იყო მეკარეც, მაგრამ დარტყმა უზუსტო გამოდგა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი, თუნდაც მაღალი რანგის საკონტროლო მატჩი სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას ძნელად იძლევა, მაგრამ გუშინდელ კონკრეტულ შეხვედრაში, ფიზიკური კონდიციების თვალსაზრისით, თბილისის “დინამო” ურიგოდ არ

გამოიყურებოდა. გუნდის წმინდა საფეხბურთო ძალას კი ალბათ ჩემპიონატის პირველ მატჩები დაგვანახებს.

“ლელო”, 24 თებერვალი, 1985 წ.